

გუნდური მუშაობის როლი კერძო და საჯარო სექტორში

ნინო ლევიშვილი, ლიკა კორაშვილი, თამარ ჩართოლანი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის
ადმინისტრირების ფაკულტეტზე ბიზნესის სკოლაში მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

ბიზნესის ადმინისტრირება (მენეჯმენტი)

ხელმძღვანელი: ნინო თანდილაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების
ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავ წარმოდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნინო ლეკიშვილი,

ლიკა კორაშვილი,

თამარ ჩართოლანი

2019/06/26

აბსტრაქტი

დიდი ხანია ბიზნეს ორგანიზაციებს მნიშვნელოვანი ნაწილი უპირატესობას ისეთ მართვის სტილს ანიჭებს, რომელიც გუნდურ მუშაობას გულისხმობს. ცნობილია, რომ ორგანიზაციების უმეტესობამ მნიშვნელოვნად გაზარდა მათი მუშაობის ეფექტიანობა ჯგუფური მუშაობის გამოყენებით. საქართველოსთვის, როგორც განვითარებადი ქვეყნისთვის, აქტუალურია აღნიშნული საკითხი. გუნდური მუშაობა ეტაპობრივად ვითარდება და იხვეწება როგორც საჯარო, ასევე კერძო სექტორში.

აღნიშნული ნაშრომი მიმოიხილავს საქართველოში არსებულ მდგომარეობას, გამოწვევებს და გარდამტეხ ცვლილებებს გუნდური მუშაობის მიმართულებით. არსებული მდგომარეობის შეფასება ეფუძნება კერძო და საჯარო სექტორის წარმომადგენლებთან ინტერვიუს. პრობლემის აქტუალურობა გამომდინარეობს საქართველოში არსებული საინტერესო კონტექსტით, სადაც ერთდროულად ვხვდებით განსხვავებულ ორგანიზაციულ კულტურებს. ეს განსხვავება ფიქსირდება როგორც თაობათა შორის, ასევე კერძო და საჯარო სექტორის ორგანიზაციებს შორის. აქედან გამომდინარე, კვლევა ეყრდნობა ამ ორ სექტორში დასაქმებული ადამიანების შედარებით ანალიზს, რამაც მოგვცა შესაძლებლობა აგვეღწერა მიმდინარე მდგომარეობა საქართველოში გუნდური მუშაობის თვალსაზრისით, მაშინ როდესაც აღნიშნული მიმართულებით ჯერ საქართველოში კვლევა არ ჩატარებულა და ნაშრომი ამდიდერებს საერთაშორისო ლიტერატურასაც.

ნაშრომში მოცემულია ინფორმაცია გუნდური მუშაობის არსზე, მნიშვნელობაზე და მის როლზე, ასევე, სხვაობა კერძო და საჯარო სექტორებს შორის. ნაშრომი აღწერს ჩატარებულ კვლევას და მონაცემთა ანალიზი, რომლის დახმარებით შევძლებთ მიმდინარე მდგომარეობის ანალიზს გუნდური მუშაობის მიმართულებით და საჭირო ცვლილებების განხორციელების გზების დასახვას.

Abstract

The present master's thesis examines current situation, challenges and changes regarding teamwork in a workplace in Georgia. The assessment of the current situation is based on interviews with private and public sector representatives. The actuality of the problem is due to a particular context in Georgia which is explained by co-occurrence of diverse organisational cultures. This diversity is observed between representatives of various generations, but also between private and public sector organisations.

That is why, the current research aims to describe the current situation in Georgia based on the data collected from surveys of people employed in the two sectors. The master's thesis contains information about the essence of the teamwork as a concept, its role and importance in organisational performance. It also compares these elements in private and public sector using interviews and analysis of the research data from the representatives of six organisations. Based on this analysis, recommendations are given to the management of both sectors in terms of more effective usage of teamwork.